შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.998)

23-30 ოქტომბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მეხუთე ტალღა და ვაქცინაცია

კოვიდვითარება გაზრდილი რეინფიცირების ფონზე...

ქვეყანაში კორონავირუსის მეხუთე ტალღა უკვე დაწყებულია. სპეციალისტები კვლავ რეკომენდაციების მკაცრი დაცვისკენ, პირბადის ტარებისა და ვაქცინაციისკენ მოგვიწოდებენ და რეკომენდაციას უწევენ ყველა შეზღუდვას, რაც ეპიდემიის სტაბილიზაციისთვის გახდება საჭირო. ჯანდაცვის ექსპერტთა ნაწილი ვაქცინაციის ასაკის დაწევაზეც საუბრობს. ამირან გამყრელიძე კი ნოემბრიდან შეზღუდვების შემოღებას აანონსებს, თუკი ვაქცინაციის ტემპი არ გაიზარდა. აცრების ყოველდღიური რაოდენობა ზაფხულიდან მოყოლებული იკლებს და სულ უფრო სათუო ხდება წლის ბოლომდე სპეციალისტებისათვის სასურველი ნიშნულის - ზრდასრული მოსახლეობის მინიმუმ 60%-ის სრულად აცრის მიღწევა. ვითარები გაუარესების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ვაქცინაციის დაბალი ტემპი სახელდება. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს რეინფიცირების ზრდა.

შარშან, ამ დროს, მსოფლიოში კოვიდით რეინფიცირების მხოლოდ 20-მდე შემთხვევა იყო გამოვლენილი. 2021 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც „დელტა“ დომინანტური ვარიანტი გახდა, ხელახალი ინფიცირების შემთხვევებმა სწრაფი ტემპით მოიმატა. სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტში” გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, მსოფლიოში რეინფექციის დღიურ მაღალ მაჩვენებელში მნიშვნელოვანი წილი მეორედ და მესამედ ინფიცირების შემთხვევებზე მოდის. CDC-ის (აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი) გაიდლაინით, რეინფექციად ითვლება Covid-19-ის ლაბორატორიულად დადასტურებული მეორე შემთხვევა, რომელსაც პირველი დადასტურებული დიაგნოზიდან 90 დღე აშორებს. ამ მითითებით ხელმძღვანელობენ საქართველოშიც.

ბოლო პერიოდში, ქვეყანაში კოვიდით ინფიცირების შემთხვევები დღეში 5000-ს სცდება. ამ მონაცემში შედის როგორც პირველადი, ისე რეინფექციის შემთხვევები. თუმცა, ზუსტად რომელი შემთხვევაზე რა წილი მოდის, ამის შესახებ ოფიციალური მონაცემები ჯერ არ არსებობს.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე ამბობს, რომ უახლოეს მომავალში ცნობილი გახდება მეშვიდე კვლევის შედეგები, სადაც რეინფიცირების შესახებ მონაცემები იქნება აღწერილი.

გამყრელიძის ინფორმაციით, ამჟამინდელი მონაცემებით, მეორედ ინფიცირების მაჩვენებელი დაახლოებით 0.75 %-ია. ხოლო, რაც შეეხება მესამედ ინფიცირების შემთხვევებს, ამ ეტაპზე ასეთი ფაქტი არ გამოვლენილა.

„ახლა მხოლოდ დაახლოებითი მაჩვენებელი შემიძლია გითხრათ. გასულ თვეში, როდესაც ქვეყანაში ინფიცირების 662 000 შემთხვევა იყო, გამოვავლინეთ რეინფექციის 5000-მდე ფაქტი. ახლა მიმდინარეობს სამჯერადი რეინფიცირების სავარაუდო შემთხვევების შესწავლა. გვქონდა რამდენიმე ეჭვი, მაგრამ არ დადასტურდა. ზოგადად, რეინფექციის მაჩვენებელი გაზრდილია მთელ მსოფლიოში და, შესაბამისად, ჩვენთანაც. საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს დაავადება ყოველი შემდეგი ინფიცირებისას, ამაზე კვლევა ჩვენ ჯერ არ ჩაგვიტარებია, თუმცა, საერთო მოსაზრება არსებობს, რომ შემდეგი ინფიცირება უფრო მარტივად მიმდინარეობს. ალბათ, გადაწყვეტით ამის თქმაც ძნელია, ჩვენთან იყო ერთეული შემთხვევები, როცა პირიქით მოხდა” ..

რა პერიოდია ყველაზე ახლო ინტერვალი რეინფექციებს შორის? - ამ კითხვაზე ჯერ არ აქვს ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამირან გამყრელიძეს, თუმცა, ზემოთ აღნიშნულმა კვლევამ ამასაც უნდა უპასუხოს.

აშშ-ში ჩატარებულმა ერთ-ერთმა უახლესმა კვლევამ აჩვენა, რომ არავაქცინირებულ ადამიანებს, შესაძლოა, Covid-19 ყოველ 16 თვეში თავიდან დაემართოთ. თუმცა, როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ეს შუალედი შესაძლოა გაცილებით ნაკლებიც იყოს.

ჩვენი რესპონდენტი, რომელიც რეინფიცირების საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს, ამბობს, რომ კოვიდით ხელმეორედ დაახლოებით 4 თვის ინტერვალში დაავადდა. მისი მონათხრობის მიხედვით, ივნისში ოჯახის ხუთივე წევრს კოვიდი ერთდროულად დაუდასტურდათ. ინფიცირებიდან ერთ თვეში, მაშინ, როდესაც ტესტმა უარყოფითი პასუხი აჩვენა, ოჯახის სამი წევრი „ფაიზერით“ აიცრა, დანარჩენ ორს ვაქცინაცია არ ჩატარებია, რადგან სკოლის მოსწავლეები არიან. აცრიდან დაახლოებით სამ თვეში, რამდენიმე დღის წინ, ოჯახი კოვიდით ხელახლა დაინფიცირდა.

„ახლა ხუთივე თავიდან ვართ ინფიცირებულები. სასიხარულო ის არის, რომ ყველას საკმაოდ მსუბუქად გვაქვს, ბავშვებს ერთჯერადი სიცხით და უფროსებს - სურდოთი. მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, არ ველოდი ასე მალე რეინფიცირებას, ფაქტობრივად ოთხი თვის შემდეგ ყველას მეორედ შეგვხვდა. პირადად ჩემი სიმპტომები იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არა კოვიდდადასტურებული სიცხიანი შვილი, არც გავიტესტებოდი. არაფერი მაწუხებს, მაგრამ კოვიდი მაქვს, დაახლოებით იგივე შემიძლია გითხრათ მეუღლეზეც. სულ მიკვირდა, ამდენმა ხალხმა მოიხადა და კიდევ ამდენი ინფიცირებული საიდან არის-მეთქი და როგორც ვხვდები, ხალხი მეორე წრეზე წავიდა” - გვიყვება რესპონდენტი.

კიდევ უფრო ნაკლები ინტერვალით რეინფექციის შემთხვევები ჰქონდა საკუთარ პრაქტიკაში ინფექციური საავადმყოფოს ინფექციონისტს ალექსანდრე გოგინავას.

„ყველაზე ახლო ინტერვალი იყო 2 თვე. გადაიტანა პაციენტმა კოვიდი, გაიტესტა, პასუხი იყო უარყოფითი, შემდეგ ისევ იგრძნო სიმპტომები, ისევ ჩაიტარა ტესტი და დადებითი პასუხი დადასტურდა. ზოგადად, არსებობს მოსაზრება, რომ რეინფიცირების დროს დაავადების განვითარება უფრო მარტივია, თუმცა, გვქონდა მძიმე შემთხვევები და მათ შორის, რამდენიმე ფატალურადაც დასრულდა.

ასე რომ, დარწმუნებით ვერ იტყვი, როგორ განვითარდება ხელახალი კოვიდი, რატომ მიმდინარეობს დაავადება ზოგჯერ მსუბუქად და ზოგჯერ - ფატალური შედეგით, ამაზე დადასტურებული პასუხი არ არსებობს. ამიტომ მაქსიმალური სიფრთხილე და ის რეგულაციები, რაც უკვე ყველამ ზეპირად ვიცით, აუცილებლად უნდა დავიცვათ. და, რაც მთავარია ვაქცინა, რომელიც რეინფექციისგან მნიშვნელოვნად გვიცავს” - ამბობს ინფექციონისტი.

უცხოელი სპეციალისტები რეინფექციის თავისებურებებზე დაკვირვების ფონზე არცთუ ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ. იელის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეფრი ტაუნსენდმა 2 დღის წინ „გარდიანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ჯოგური იმუნიტეტის გამომუშავების შედეგად პანდემიის დასრულება სულ უფრო ნაკლებად სავარაუდო ხდება.

„ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ბევრი რამ რეინფექციის რისკის ფაქტორების შესახებ, მაგრამ თეორიული ვარაუდი, რომ მას შემდეგ, რაც მოსახლეობის უმრავლესობა გადაიტანს ვირუსს, პანდემია დასრულდება, სულ უფრო ნაკლებად სავარაუდო ხდება.თუ ეპიდემიის სათანადო კონტროლი არ მოხდება, არ იქნება გათვალისწინებული არსებული რეგულაციები და მოსახლეობა უარს იტყვის ვაქცინაზე, თითოეული ადამიანი , შესაძლოა, ყოველ სამ თვეში ხელახლა დაინფიცირდეს და ეს მდგომარეობა მინიმუმ ხუთი წელი გასტანს.“ - განაცხადა იელის პროფესორმა.

***

ამჟამინდელ კოვიდსინამდვილეში ვაქცინის შექმნის მეთოდებთან და გამოცდის ვადებთან დაკავშირებული უნდობლობა ჭარბობს საზოგადოებაში, ხოლო პროფესიონალებს შორის - სამეცნიერო ტიპის კითხვები, დავები თუ წინააღმდეგობა. ზუსტად ისე, როგორც ეს გასულ საუკუნეებში ხდებოდა.

„კვლევის“ შედეგი დასრულებულია და ერთი საინტერესო „აჰა!“ მომენტი მქონდა - თუ რატომ იკავებს თავს ხალხის დიდი ნაწილი ვაქცინაციისგან.

აქამდე მეც და ბევრი კოლეგაც ფიქრობდა, რომ ქვეყანაში განათლების პრობლემის ბრალია ეს, და რადგან ხალხს ბევრი სამედიცინო (და ზოგიერთ მარტივი რამ) რამ არ ესმის. განათლების პრობლემა ,ზოგადად, რა თქმა უნდა არის, თუმცა ეს ვერ იქნება მოსახლეობის 60-70%-ის აუცრელობის გადამწყვეტი მიზეზი და მოგახსენებთ რატომ.

რეალურად, საკმარისი სამედიცინო, სტატისტიკური და მათემატიკური განათლება (ყველაფერი ერთად რომ სიღრმისეულად გაიგონ, რატომ არის აცრა უსაფრთხო) აქვს ალბათ საერთო მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებს, უფრო მეტი ალბათობით -1%-ზე ნაკლებს. ამას ვინმეს დამცირების მიზნით კი არ ვამბობ - რა თქმა უნდა, ვერ ექნებათ, რადგან არცთუ ისე ადვილია ბოლომდე გაგება ამ საკითხის, და ხანდახან “უბრალოდ ექიმობაც” არაა საკმარისი, მედიცინის უახლესი მიღწევები გესმოდეს საკმარისად. **აუცრელობის ძირეული** (root cause) **მიზეზი – არასაკმარისი *ნდობაა* (რწმენა არა, კონკრეტულად ნდობა). ნდობა მეცნიერებისადმი (ვაქცინა ნამეტანი მოკლე**

/გაგრძელება გვ.3/

C M Y K

იანვრიდან ვეტერანების დანამატი 5-ჯერ გაიზრდება

ვეტერანთა ყოველთვიური დანამატი, რომელიც 22 ლარს შეადგენს, 2022 წლის იანვრიდან 5-ჯერ გაიზრდება და 110 ლარი გახდება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოსვლისას განაცხადა.

„საზოგადოების განვითარების საზომი არის ის, თუ როგორ ვაფასებთ და ვზრუნავთ სამშობლოს დამცველებზე. ჩვენი მთავრობა შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს ვეტერანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვეტერანებზე და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ასევე მინდა ვთქვა, რომ საკითხი, რომელიც ყველას გვაწუხებს, ყოველთვიური 22 ლარიანი დანამატი, ჩვენი გადაწყვეტილებით, გადახედილი იქნება და ყოველთვიური დანამატი იანვრიდან 5-ჯერ გაიზრდება“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ვეტერანების დაფასება არის არა მხოლოდ მათი ღვაწლისა და დამსახურების აღიარება, არამედ ზრუნვა მომავალზე, ახალგაზრდა თაობებში სწორი ღირებულებების, სამშობლოსა და თავისუფლების უზენაესობის იდეალთა დამკვიდრებაზე.

„ასე რომ, საქართველოს მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი სამსახურისთვის და ჯანმრთელობას, მშვიდობას და კეთილდღეობას გისურვებთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების საერთო რაოდენობა 66 804-ია.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წელს დაარსდა და წელს მერვედ აღინიშნა.

დმანისი ბევრ აღმოჩენას გვპირდება

საიდან მოვდივართ და ვინ ვართ, ვინ დააბიჯებდა ჩვენს მიწაზე ჩვენამდე, როგორები იყვნენ ისინი და რა მოუვიდათ? ეს ის კითხვებია, რომლებიც მუდამ აფორიაქებს ჩვენს გონებას. რაც უნდა ხდებოდეს ჩვენ გარშემო, როგორ ეპოქაშიც უნდა ვცხოვრობდეთ, წარსულისადმი ინტერესი არ ქრება. ასეა ჩვენს უძველეს წინაპრებთან, ანუ პირველ ევროპელებთან დაკავშირებითაც, რომლებიც მცხუნვარე აფრიკიდან 1 800 000 წლის წინ მოვიდნენ დღევანდელი დმანისის ტერიტორიაზე. როგორ შეძლეს ან რატომ გააკეთეს ეს, ცხადია, ქრონოლოგიურად ზუსტად ვერ აღიწერება, თუმცა მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით ამ გზის წარმოსახვა შეიძლება. აფრიკიდან დაძრულ პირველ ევროპელებს მეცნიერებმა ჰომო გეორგიკუსი უწოდეს, მათი კვალის აღმოჩენა მსოფლიოს უდიდეს აღმოჩენათა სიაში ტყუ¬ილად¬ როდი მოხვდა. ამ ფაქტმა გადაწერა მსოფლიოს განსახლების ისტორია და საქართველო პირველი ევროპელის სამშობლოდ აქცია.



დმანისში, სოფელ ოროზმანთან, ახლახან კვლავ გამოჩნდა ჰომო გეორგიკუსის ქვის იარაღი და გიგანტური ხმალკბილა ვეფხვის ჩონჩხი, რომელსაც ჰომო გეორგიკუსი 1 800 000 წლის წინაც კი უფრო გონიერებით ამარცხებდა, ვიდრე - ძალით: ის ხომ პირველი არსება იყო, რომელმაც იარ¬აღი გამოიგონა. როგორები იყვნენ უძველესი დმანისელები და როგორ უმკლავდებოდნენ სირთულეებს? ამის შესახებ საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგი თეონა შელია გვესაუბრება.

- პირველი ევროპელების კვალი საქართველოში 1991 წელს დადასტურდა და მას შემდეგ არაერთი ქართულ-უცხოური სამეცნიერო¬ შრომა გამოქვეყნდა, ჩვენმა საზოგადოებამ კი მათ შესახებ ცოტა რამ იცის, მაგალითად, რატომ წამოვიდნენ ისინი აფრიკიდან, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენთან და ა.შ.

- ეს რთული საკითხები დღესაც ინტენსიური კვლევის საგანია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ეს ძალიან დიდი მიგრაცია იყო, რომელსაც მხოლოდ ერთი თაობა ვერ განახორციელებდა. ამ უზარმაზარ გზას დედამიწის პირველი ჰომოების უამრავი თაობა დაადგა და ჩვენამდე მოაღწია. რატომ? თუ თეორიულად ვიმსჯელებთ, ცხადია, იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ ახალი ტერიტორიების ათვისების სურვილი, შესაძლებლობა და სძლევდათ ცნობისმოყვარეობა. საზოგადოდ, მიგრაციაში კლიმატსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. როგორი იყო ამ მხრივ დღევანდელი დმანისი? კვლევები ადასტურებს, რომ მაშინდელი კლიმატი ახლანდლისგან მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა. ამ ტერიტორიას სეზონურობა ახასიათებდა და ზომიერი სარტყლის ეკოსისტემა იყო, რაც ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა აფრიკული სავანეებისაგან. ესე იგი, პირველი დმანისელები დმანისში კლიმატურ პირობებსაც კი უნდა შეჰგუებოდნენ, რაც ადვილი არ იქნებოდა, თუმცა მათ თავიანთი ევოლუციის საწყის ეტაპზე ახალ ბუნებრივ პირობებთან შეგუება და გადარჩენა მშვენივარად მოახერხეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო. მან დედამიწის ევოლუციის შესახებ მოსაზრებები კარდინალურად შეცვალა.

დმანისის ნამარხი ნაშთები უნიკალურ სიმდიდრედ იქცა მეცნიერებისთვის. მსგავსი უნიკალური კოლექცია არც ერთ იმ კონტინენტზე არ მოიპოვება, სადაც ჰომოების სამშობლოა. ეს არის: უძველეს ადამიანთა ხუთი თავის ქალა, ოთხი ქვედა ყბა და ჩონჩხის 60-მდე ძვალი. სიმრავლით, მრავალფეროვნებით, ასაკითა და შემონახულობის ხარისხით მას ვერც ერთი მსგავსი კოლექცია ვერ შეედრება.

- უძველეს ადამიანს კი, ალბათ, მოხერხებულობით ვერ შეედრება მისი თანამედროვე დედამიწის ვერც ერთი ცოცხალი არსება.

- შეიძლება ასეც ვივარაუდოთ. წარმოიდგინოთ დმანისის პირველი მკვი¬დრნი: სიმაღლე - 1.5 მეტრი, წონა - 40-50 კილოგრამი, ტვინი - თანამედროვე ადამიანის ტვინის მესამედი, გარშემორტყმულნი ბევრი საშიში მტაცებლით: ხმალკბილა ვეფხვებით, გიგანტური აფთრებით, ავაზებით, დათვებით, ირმებითა და ანტილოპებით, გიგანტური სპილოებით, მარტორქებით, გიგანტური სირაქლემებით... წარმოიდგინეთ, როგორ სირთულეებთან უხდებოდათ მათ გამკლავება. ეს გიგანტური არსებები ხომ დმანისის ტერიტორიაზე მათთან ერთად ცხოვრობდნენ და თავსაც ესხმოდნენ. თუმცა უძველესმა დმანისელმა ყველა ფიზიკური ნაკლოვანების კომპენსირება იარაღით შეძლო - მან შექმნა ქვის იარაღი. დმანისში, ადამიანისა და ცხოველის ნაშთებთან ერთად, 16 ათასზე მეტი იარაღია აღმოჩენილი.

- თუ მათი "გაცოცხლებული" თავის ქალ¬ებით ვიმსჯელებთ, უძველეს დმანისელებს ძლიერი კბილები ჰქონდათ. ისე კი, უნდა ვაღიაროთ,¬ რომ არცთუ ლამაზები იყვნენ. "ზეზვამ" და "მზიამ", ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუეს ქართველებს.

- მეცნიერული მტკიცებულებებით, ყველა ცოცხალი არსების გარეგნობა, გარკვეულწილად, დამოკიდებულია გარემოზე, რომელშიც ცხოვრობს. ამ ცნობილი წყვილის შემდეგ კიდევ ერთი უძველესი დმანისელის მულაჟი გაკეთდა, რომელსაც "დმანისელი თინეიჯერი" უწოდეს. კვლევების მიხედვით, მისი ასაკი 12-13 წელია. აქ მიაკვლიეს 25-40 წლის ასაკის უძველესი ადამიანის თავის ქალასაც, რომელსაც კბილები საერთოდ არ ჰქონდა. გაჩნდა კითხვა: მაშ, როგორ იკვებებოდა ეს ადამიანი? და იქვე პასუხიც: მას სხვები ეხმარებოდნენ. ის თანამოძმეების დახმარებით ცოცხლობდა.

- ესე იგი, აქ ადამიანური თანაგრძნობის ერთ-ერთი უძველეს ფაქტიც აღმოჩნდა...

- რა თქმა უნდა. როდესაც დმანისის და, ზოგადად, ამ აღმოჩენების შესახებ გესმის, სიამაყეს გრძნობ, მით უფრო, რომ დმანისის კვლევა გრძელდება და კიდევ ბევრ აღმოჩენას გვპირდება.

მოსალოდნელია თუ არა

ელექტროენერგიის ტარიფის მატება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარის დავით ნარმანიას განცხადებით, ამ ეტაპზე ელექტროენერგიის ტარიფის მატება მოსალოდნელი არაა. ამის შესახებ მან "მედიაცენტრ მთავარის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"ელექტროენერგიის ტარიფის მატებას ამ ეტაპზე, ამ გადმოსახედიდან არ ველოდებით. ბუნებრივი აირის და წყალმომარაგების ტარიფებიც უკვე დადგენილია. ელექტროენერგიის ტარიფი ამ წლის ბოლომდეა დადგენილი, მისი გადამტკიცება მოხდება, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსმამ იმას, რომ ტარიფის ზრდას ამ ეტაპზე არ ველოდებით,"- განაცხადა დავით ნარმანიამ.

აგვისტოს ომზე საქართველოს წინააღმდეგ

საჩივრები სტრასბურგმა დაუშვებლად ცნო

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირების საჩივრები დაუშვებლად ცნო. საქმეებზე - „ბეკოევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ და „შავლოხოვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ -სასამართლოს განჩინებები გამოქვეყნდა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგვაძის განცხადებით, ცხინვალში მცხოვრები რამდენიმე პირი ამტკიცებდა, თითქოს, ქართულმა მხარემ მათი უფლებები დაარღვია. „სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, 2019-2020 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გენერალურ პროკურატურასთან, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად მოიძია და ევროპულ სასამართლოში წარადგინა ასობით მტკიცებულება შესაბამის სამართლებრივ არგუმენტაციასთან ერთად, რითაც დასტურდებოდა, რომ 2008 წელს საქართველოს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საჩივრები დაუშვებლად ცნო. სტრასბურგის სასამართლომ სრულად გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ომის დროს ცხინვალის რეგიონი აქტიურად იბომბებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან და საქართველოს შეიარაღებული ძალები არ ახორციელებდა კონტროლს ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად, შეუძლებელია, რაიმე დარღვევა შეერაცხოს საქართველოს.

აგვისტოს ომის საქმეზე 2021 წლის 21 იანვრის ისტორიულ გადაწყვეტილებასთან ერთად, სადაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლის დაარღვევა და დაადასტურა, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, დღევანდელი განჩინებები წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს კიდევ ერთ დიდ წარმატებას“, - განაცხადა რატი ბრეგაძემ.

მისივე თქმით, სტრასბურგის სასამართლოს განჩინებებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს მთავრობამ წარმატებით დაიცვა სახელმწიფოს და ქართული ჯარის ინტერესები საერთაშორისო სასამართლოში.

„ეს განჩინებები კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბრძოლა დეოკუპაციისა და სამართლიანობისათვის გრძელდება მშვიდობიანი და სამართლიანი მეთოდებით და დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ ვიქნებით ამ ბრძოლაში თქვენთან ერთად ძალიან წარმატებულნი. მინდა ყველას მივულოცო დღევანდელი გადაწყვეტილება“, — განაცხადა რატი ბრეგვაძემ.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2008-2009 წლებში, რუსეთის კოორდინაციით, ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეიტანეს 3300-ზე მეტი საჩივარი, თუმცა, საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და სამართლებრივი პოზიციების საფუძველზე 2800-მდე საჩივარი უკვე ამოირიცხა,

ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ღონისძიებას ადგილობრივი იმპორტიორები დაესწრნენ, მათ შორის იყვნენ მსხვილი იაპონური კომპანიების წარმომადგენლებიც.

მათი ინფორმაციით, პრეზენტაცია საქართველოს მეღვინეობის ისტორიასა და თანამედროვეობის შესახებ, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge" დირექტორმა, ღვინის ცნობილმა მაგისტრმა, კენიჩი ოჰაშიმ წარმოადგინა.

„ღონისძიების სტუმარებმა სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი ქართული ღვინოების საბაზრო პოტენციალზე, საექსპორტო ფასსა და წარმოების მასშტაბების პერსპექტივებზე შეფასებები გააკეთეს. ამასთან ერთად, განხილული იყო იაპონიაში ქართული ღვინის იმპორტის განხორციელების ტექნიკური საკითხებიც.

დეგუსტაციაზე, კენიჩი ოჰაშის მიერ 13 სხვადასხვა ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი, მათ შორის 2 დასახელების ღვინო იაპონიის ბაზარზე უკვე წარმატებით იყიდება. ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენის მიზანს გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა და პოტენციური იმპორტიორების მოზიდვა იყო“, -აღნიშნულია ღვინის ეროვნული საააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

»სრული ვაქცინაცია ამცირებს კორონავირისით ინფიცირების და ჰოსპიტალიზაციის რისკს«

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემებით, სრული ვაქცინაცია 9,3-ჯერ ამცირებს კორონავირუსით ინფიცირების, ხოლო 23-ჯერ ჰოსპიტალიზაციის რისკს. ამის შესახებ ამირან გამყრელიძემ საქართველოს პირველი არხის გადაცემაში „დღის თემა“ განაცხადა.

„ალბათ, მალე, დაახლოებით ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება ჩვენი მეშვიდე მიმოხილვა და იქ ნახავთ. წინასწარ გეტყვით ციფრებს დაახლოებით, იმ მასალაზე დაყრდნობით, რაც ჩვენთან დაგროვდა. უკვე მილიონი ადამიანია აცრილი ქვეყანაში, 900 000 ორჯერადად და მილიონი ერთჯერადად. სრული აცრა ანუ ორჯერადი, 9,3-ჯერ იცავს ინფიცირებისგან. 9,3-ჯერ მაღალი აქვს რისკი არააცრილს, რომ ის დაინფიცირდეს კოვიდიანთან კონტაქტის შემდეგ, ვიდრე აცრილს. დაახლოებით 23-ჯერ ნაკლებია რისკი, რომ ორჯერ აცრილი, თუ მას დაემართა „კოვიდი“, მოხვდეს ჰოსპიტალში და შემდგომ ინტენსიურ ან რეანიმაციულ განყოფილებაში. დაახლოებით 25-30-ჯერ ნაკლებია სიკვდილიანობის რისკი თუ ორჯერ აცრილს დაემართა „კოვიდი“. დამერწმუნეთ, ეს რეალური ციფრებია. აცრა სერიოზულად იცავს. რა თქმა უნდა, მედიცინაში 100-პროცენტიანი არაფერია“, — განაცხადა აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

მისივე თქმით, აცრილ პირებს შორის მხოლოდ 11 000 ინფიცირდა კორონავირუსით, ხოლო კორონავირუსით გარდაცვლილთა შორის, აგვისტოს ბოლოს მონაცემებით, 23 იყო ორჯერადად აცრილი. გამყრელიძის განმარტებით, აღნიშნული ინფიცირებული პირები სხვადასხვა ვაქცინით იყვნენ აცრილები და ამ შემთხვევაში, რომელიმე ვაქცინის უპირატესობა არ გამოკვეთილა.

„ორჯერადად აცრილი არის 903 000. დიახ, ამ 903 000-დან 11 000-ს დაემართა „კოვიდი“, მაგრამ მათ უმრავლესობას არ დასჭირვებია ჰოსპიტალიზაცია. რა თქმა უნდა, ერთეულებია, სანამ არ გამოვა მიმოხილვა, ციფრებს არ დავასახელებ. არის გარდაცვლილებიც, დაგიდასტურებთ. 23 გარდაცვლილი გვყავდა აგვისტო ბოლო რიცხვით ორჯერადად აცრილი, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში და ეს ძალიან დეტალურად შეისწავლება, ვერბალურ აუტოფსიას ვეძახით ამას, ყველა იყო საკმაოდ მძიმე თანმხლები დაავადებებით. განასხვავეთ ახლა თქვენ, სამწუხაროდ, 9 000-მდე გარდაცვლილი და მათ შორის, 99 პროცენტი აუცრელი და აცრილებში - 23“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ვაქცინაციის მარათონი კახეთში

21 ოქტომბერს, კახეთში ვაქცინაციის მარათონი გაიმართა. პროცესს ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე, მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე ადგილზე გაეცნენ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით ათეულობით ადამიანი აიცრა, მათ შორის იყო ორსული და 100 წლის ქალი.

„ვაქცინაციის მარათონს კახეთში ვაგრძელებთ. ჩვენ ის სოფლები შევარჩიეთ, სადაც ვაქცინაციის ტემპი დაბალია. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის ექიმებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ჩართულობა, რათა მოქალაქეებს სწორი ინფორმაცია მიაწოდონ. ჯანდაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლის ცენტრი მიმდინარე პროცესს მუდმივ მონიტორინგს გაუკეთებს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ვაქცინაციის მარათონი დადებით შედეგებს გამოიღებს და ვაქცინაციის ტემპი კიდევ უფრო მოიმატებს“,-ამის შესახებ ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება მოქალაქეებს, სოფლიდან გაუსვლელად, ადგილზე, რეგისტრაციის გარეშე, სპეციალურად გამოყოფილ მოძრავ ამბულატორიაში შეუძლიათ.

„ვაქცინაციის ტემპი იმატებს. მარათონის ფარგლებში , პირველ დღეს 120, გუშინ კი 300 ადამიანი აიცრა. დიდი იმედი გვაქვს, რომ სასოფლო დასახლებაში მარათონი კარგ შედეგს გამოიღებს, თუმცა ეს ყველაფერი შემდგომშიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. აქ ძალიან გამოცდილი ექიმები და ექთნები არიან. მოგეხსენებათ, რომ კახეთში შემთხვევების მატებაა და ამ პროცესს მხოლოდ მასობრივი ვაქცინაცია გააჩერებს“,- განაცხადა ამირან გამყრელიძემ. პროექტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის ინიციატივით ხორციელდება. მარათონში მონაწილეობას იღებენ სოფლის ექიმები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრების წარმომადგენლები, სოფლის რწმუნებულები, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.საინფორმაციო შეხვედრების განმავლობაში მოსახლეობას საგანმანათლებლო მასალებიც გადაეცემათ. პროექტის მხარდამჭერები არიან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში და გაეროს განვითარების სააგენტო (UNDP).

***

გრიპის ვაქცინა დედოფლისწყაროში შემოვიდა, თუმცა, მისი რაოდენობა შეზღუდულია. „ვაქცინა განსაზღვრულია მიზნობრივი ჯგუფისათვის-დიაბეტიანებისთვის, ქრონიკული დაავადებების მქონეთათვის, ორსულებისთვის და მეძუძური დედებისთვის“-ამის შესახებ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა მარიეტა გონაშვილმა განაცხადა. მისივე ინფორმაციით, გრიპის ვაქცინის დამატებით დოზებს კიდევ ელოდებიან.

რაც შეეხება კოვიდინფიცირების ფაქტებს- დედოფლისწყაროში კოვიდით ინფიცირების შემთხვევებმა იკლო, მაგრამ ეს სიმშვიდის საფუძველს არ იძლევა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, მთელი კვირის მონაცემები ასე გამოიყურება: ორშაბათი-45, სამშაბათი-36, ოთხშაბათი-36, ხუთშაბათი-20, პარასკევი-28, სულ 165 დადასტურებული კოვიდშემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. სულ ჩვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ-19 2761 პირს დაუდასტურდა, გარდაიცვალა -46 . 22 ოქტომბრის მონაცემებით, თვითიზოლაციაში იმყოფება 671, ხოლო სტაციონარში მკურნალობს 37 ადამიანი.

ვაქცინაციის ტემპი დედოფლისწყაროშიც დაეცა. ვაქცინირებულია 9654 ადამიანი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოსახლეობას ვაქცინაციისკენ და სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

მეხუთე ტალღა და ვაქცინაცია

დასაწყისი პირველი გვერდიდან

დროშია შექმნილი და ვერ ვენდობი, ნდობა მთავრობისადმი (მთავრობას ჩვენი დახოცვა უნდა, ფეხებზე ვკიდივართ), ნდობა ექიმებისადმი (ეს ექიმები მოსყიდულები არიან რომ ვაქცინა გაასაღონ), ხდობა სტატისტიკისადმი (ხელოვნურად ცვლიან ციფრებს, რომ მეტი ჩაეთვალოთ) და კიდევ მრავალი სხვა). თუ ეს კითხვები გეცნობათ – ქვემოთ მარტივად ვუპასუხებ.

ის ადამიანები რომლებიც საკმარისად მიცნობენ (განსაკუთრებით ბავშვობიდან), იციან ჩემი ღირებულებები, მიზნები, განვლილი ცხოვრება და ახლანდელი სტატუსი - ამ ყველა ზემოთ ხსენებულ კითხვას ერთი კითხვით პასუხობენ: “დათო ავიცრა?” ჩემგან ჯერჯერობით ყველა პასუხი აქვს “კი”. ისინი იცრებიან. აი ეს არის ნდობა, რომელიც ყველანაირ განათლების ადამიანს ერგება. მათ იციან რომ ზემოთ მოყვანილი ყველა დანარჩენი კითხვა მე უკვე დასმულიც მაქვს და ნაპასუხებიც, ის რომ ჩემი მშობლები პირველ დღესვე ავცერი თელავში. რა თქმა უნდა , თუ დამატებითი კითხვები აქვთ (და ასეთებიც ბევრია) - ამასაც ვპასუხობ. დანარჩენ ყველა კითხვას ბადებს უნდობლობა. ვერ ენდობიან - და ამის შემდეგ ჩნდება კითხვები და არა პირიქით. მოსახლეობის დიდ უმეტესობას არ ჰყავს ოჯახში თუ უახლოეს საახლობლო წრეში ისეთი ექიმი - ვისაც საკმარისად ენდობა“-ამბობს ექიმი დავით მრელაშვილი.

ახალი არაფერი ხდება. ამის საილუსტრაციოდ გენიალური მეცნიერისა და მკვლევარის, ექიმის, მიკრობიოლოგის, ეპიდემიოლოგისა და თანამედროვე ბაქტერიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, რობერტ კოხისა და მისი აღმოჩენების შესახებ ისტორიაც გამოდგება.

ვიმედოვნებ, ეს დღევანდელ ვითარებასთან მნიშვნელოვანი ანალოგიების დანახვის საშუალებას მოგცემთ.

რობერტ კოხი დაიბადა და აღიზარდა მრავალშვილიან, მშრომელ ოჯახში, სადაც მის ნიჭსა და გარესამყაროსადმი ცხოველ ინტერესს მაშინვე მიაქციეს ყურადღება და ყოველნაირად შეუწყვეს ხელი განათლებაში. უფრო მეტიც, მწერების შეგროვებით გატაცებულ ყმანვილს ბიძამ მიკროსკოპი და ფოტოაპარატი აჩუქა, რამაც ერთგვარად განსაზღვრა კიდეც კოხის და, შემდგომში, კაცობრიობის ბედიც. ჰეტინგენის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა ექიმი ხან სულით ავადმყოფთა კლინიკაში, ხან მაზრის ექიმად, ხან საველე ქირურგად მუშაობდა, მაგრამ ყველგან მისი ინტერესის საგანი ინფექციები და მათი პანია გამომწვევების აღმოჩენა იყო. პასტერის შრომებით აჟიტირებულმა ახალგაზრდა ექიმმა საკმაოდ ვერაგ ინფექციურ დაავადებებათა მიზეზების ძიება დაიწყო, ამას დაბადების 28-ე წლისთავზე მეუღლის ნაჩუქარმა ახალმა მიკროსკოპმაც გაუხსნა გზა და, მან იმ უხილავ მიკროსამყაროსთან გაბედა შეჭიდება, რომლის არსებობის და ადამიანის ორგანიზმზე გავლენის დამტკიცება დიდ ცოდნას, შრომისმოყვარეობას, გამბედაობას და სიჯიუტეს მოითხოვდა! და რობერტ კოხმა ეს შეძლო - იქცა კაცობრიობის ისტორიაში პირველ მკვლევარად, რომლის მიგნებებმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა. მაგრამ აღიარება უცებ და ადვილად არ მოსულა. კოხი ბუნებით ინტროვერტი იყო, თავიდან არც აქვეყნებდა და არც ახმაურებდა თავის გენიალურ, მართლაც რევოლუციურ მეთოდებს მიკრობების კულტურების შექმნის და გამოყოფის, საკვები ნიადაგებისა თუ პრეპარატების შეღებვის შესახებ, რამაც ეს უხილავი მტრები ხილული და შეცნობადი გახადა. ხოლო როცა დაიწყო მოხსენებებით გამოსვლა, დაინიშნა საიმპერატორო ჯანდაცვითი დეპარტამეტის მრჩევლად, შარიტეს ინფექციური ინსტიტუტის დირექტორად, მიიღო შესანიშნავი ლაბორატორია, მის პოსტულატებს, მის აღმოჩენებსა და ჰიპოთეზებს წინააღმდეგობით და შეუკავებელი ემოციებით ხვდებოდნენ ისეთი ცნობილი ფიგურებიც კი, როგორიც კონჰეიმი და ვირხოვია. პირველი დამდუღრულივით გავარდა დარბაზიდან, როცა კოხმა 1876 წელს ბრესლავლიდან ამცნო მსოფლიოს ციმბირის წყლულის გამომწვევის აღმოჩენის შესახებ, ხოლო მეორემ დემონსტრაციულად და კარის გაჯახუნებით დატოვა 1882 წლის 24 მარტის ისტორიული საბჭო, რომელზეც კოხმა განაცხადა ტუბერკულოზის გამომწვევის - კოხის ჩხირის აღმოჩენის შესახებ!

თითქოსდა თავმდაბალი და წყნარი მკვლევარი კოხიც, თავადაც არ იღებდა ადვილად სხვათა ექსპერიმენტების შედეგებს. მაგ. ე. ბერინგს საკმაო წინააღმდეგობა გაუწია, ვიდრე აღიარა მისი დიფტერიის საწინააღმდეგო ანტიტოქსიური შრატი. თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, ამის მიზეზი კვლევებისადმი უფრო მკაცრი მოთხოვნების წაყენება იყო. ასეთი იყო იგი თავისი ტუბერკულინის მიმართაც - ასჯერ წონიდა, შეპყრობილივით მუშაობდა, ახალი პრეპარატი ჯერ საკუთარ თავზე, ერლიხსა და ახალ საცოლეზეც კი გამოსცადა, ვიდრე ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს შეუყვანდა, მაგრამ ამ სიფრთხილის მიუხედავად, შეცდომა ტუბერკულინის ფუნქციის ამოცნობაში მაინც გაიპარა. ეს არა სამკურნალო, არამედ სადიაგნოზო პრეპარატი (დღევანდელი მანტუს სინჯი) აღმოჩნდა და, ამიტომ, ტუბერკულოზის განკურნების პირველი ცდები, რომელიც კვლევების თანამედროვე სტანდარტებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა და უფრო ექსპერიმენტული ხასიათი ჰქონდა, ფიასკოთი დასრულდა. მანამდე გაღმერთებულ კოხს შარლატანსა და მკვლელს ეძახდნენ! ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ყველასთვის ცნობილი და საყვარელი არტურ კონან დოილის გამანადგურებელმა სტატიამ! ასეთი უცნაური და რთული სფეროა მედიცინა.. ამის მიუხედავად, ფაქტები დალაგდა, გაირკვა და თავისი ისტორიული შედეგების - ტუბერკულოზის ჩხირისა და ტუბერკულინის აღმოჩენისთვის კოხს 1905 წელს ნობელის პრემია მიენიჭა!

უმრავლესობა კოხს სწორედ ტუბერკულოზის გამომწვევის აღმომჩენად იცნობს და მართლაც ეს მისი უმნიშვნელოვანესი შრომა იყო. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ეს გენიალური მეცნიერია, სწორედ, ლაბორატორიული მედიცინის მამამთავარი, საკვები ნიადაგების, შეღებვის მეთოდების, იმერსიული მიკროსკოპიის ავტორი, ქოლერის და ციმბირის წყლულის, მსხვილფეხა საქონლის ჭირისა და აფრიკული ცხელების აღმომჩენი და ბუში ცეცეს მიერ გავრცელებადი ლეთარგიული დაავადების ატოქსილით მკურნალობის ინიციატორიც. ამ აღმოჩენებისთვის ეს გასაოცარი შრომისუნარიანობის, უშიშარი და დაუღალავი მეცნიერი, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად (მაშინ არ არსებობდა პერსონალური დაცვის საშუალებები) დადიოდა ექსპედიციებით აფრიკაში, ინდოეთში, ახალ გვინეაში, იავაზე თუ იტალიაში. გასაოცარია, მაგრამ ამდენ პაციენტთან და პათოლოგიურ მასალასთან “შიშველი ხელებით” ურთიერთობის მიუხედავად, კოხს არასდროს შეყრია არცერთი ინფექციური დაავადება! თუმცა, მძიმე შრომას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია და იგი 66 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა..

ეს ფაქტები დასტურია იმისა, თუ რამდენად საჭიროა მედიცინის ისტორიის და ჯანდაცვითი საკითხების ხელოვნების ენაზე გადმოცემა მოსახლეობის ინფორმირებისა და გათვითცნობიერებისთვის და შეუძლია, მედიცინისა და მეცნიერების მიმართ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებსაც კი დაანახოს, როგორ რთულ პირობებში, რა მწირი ცოდნითა და საშუალებებით, ეთიკური ნორმების ნაკლებობით, რწმენისა და მეცნიერების ჭიდილით დაიწყო განვითარება თანამედროვე მედიცინამ; როგორი განსხვავებული და დახვეწილია გასულ საუკუნესთან შედარებით დღეს სამედიცინო მომსახურება, პირობები, საშუალებები, სამედიცინო განათლება, კვლევები, მეცნიერება, კლინიკები და პერსონალი; როგორია რთულია, ხშირად ზიანის მომტანიც, საექთნო შრომა და, რა დიდია ნებისმიერი ექიმის სურვილი, იპოვოს დაავადების მიზეზი და მისი მკურნალობის ეფექტიანი გზა, მოარჩინოს და გადაარჩინოს პაციენტი და აქციოს საკუთარ კლინიკა მსოფლიოში ერთ- ერთ ყველაზე წარმატებულ და ცნობილ სამედიცინო - კვლევით დაწესებულებად.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

რა არის ტვინდემია? მეცნიერები ახალ საფრთხეზე საუბრობენ

კორონავირუსის პანდემიასთან ერთად მეცნიერები ახალ საფრთხეზე – ტვინდემიაზე საუბრობენ, როდესაც კორონავირუსის მორიგი ტალღა შეიძლება სეზონურ დაავადებებს დაემთხვეს. რა არის ტვინდემია? ამის შესახებ პუბლიკაციას BBC ავრცელებს. ამ ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს სეზონური გრიპით თითქმის არავინ იყო დაავადებული, მაგრამ წელს მან, შესაძლოა, რევანში აიღოს. ამან შეიძლება ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მნიშვნელოვნად გაართულოს. ამ მოვლენას ეპიდემიოლოგებმა უკვე უწოდეს „ტვინდემია (twins – ტყუპები).



ჩრდილოეთ ნახევარსფეროში სეზონური გრიპის პერიოდი პირველი სიცივის დადგომის პარალელურად იწყება და თითქმის ნახევარ წელს - მარტის შუა რიცხვებამდე გრძელდება. 2020 წელი ამ წესიდან გამონაკლისი იყო. სკოლების უმეტესობა დახურული იყო, უფროსებიც, ძირითადად, სახლებში ისხდნენ, ასე რომ გრიპის გავრცელება შეუძლებელი იყო. ასე, მაგალითად, აშშ-ში, სადაც ყოველწლიურად სეზონურ გრიპს 20-60 ათასი ადამიანი ეწირებოდა, მათ შორის 200 ბავშვი, წინა სეზონზე მხოლოდ ერთი ბავშვი შეეწირა. საერთო ჯამში კი სექტემბრიდან მარტამდე 330-მილიონიან ქვეყანაში 1500-მდე ადამიანი იყო ინფიცირებული სეზონური გრიპით.

ამ შემოდგომაზე სიტუაცია განსხვავებულია. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა უკვე გაიკეთა, ხელისუფლება შეზღუდვებს ნელ-ნელა აუქმებს. ბავშვები სკოლებში ბრუნდებიან, უფროსები კი ოფისებში და რესტორნებში. ასე რომ გასაკვირი არ არის, რომ სეზონური დაავადებების სტატისტიკა გაიზარდა.

პარალელურად კორონავირუსის პანდემიის ახალი ტალღაც იწყება. ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნება ცნობილი ინფექციების დაბრუნებასაც ნიშნავს. „ჩვენ ერთდროულად ორი რესპირატორული ვირუსის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით, შესაბამისად, ჯანდაცვის სისტემა შეიძლება გადაიტვირთოს და ინფიცირებულთა ნაკადს ვერ გაუძლოს," - განაცხადა ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორმა დანიელ სოლომონმა. ამ მოსაზრებას სხვა ექსპერტებიც ეთანხმებიან.

„რა თქმა უნდა, წინასწარ შეუძლებელია იმაში ვიყოთ დარწმუნებულები, რომ ზამთარში გრიპის შემთხვევების მატება გველოდება, მაგრამ ეს სავსებით რეალურია. ასევე HRSV-ის ვირუსის შემთხვევების მატებაც, რომელიც ქვედა სასუნთქ გზებს აზიანებს. ანუ ჩვენ შეიძლება ორი ვირუსი დაგვიბრუნდეს, რომლებიც შარშან განადგურებული იყო", - ამბობს ბრისტოლის უნივერსიტეტის მოლეკულური მედიცინის პროფესორი დევიდ მეთიუსი.

მას, ვისაც ამ „უწყინარი" სეზონური გრიპის არ ეშინია, პროფესორი მეთიუსი სტატისტიკას ახსენებს: ყოველწლიურად მსოფლიოში მისგან 650 000 ადამიანი იღუპება. რისკის ჯგუფში, პირველ რიგში, მოხუცები და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები არიან. ასევე, ბავშვები, რომელთა იმუნიტეტიც ჯერჯერობით ძლიერი არ არის. კორონავირუსისგან განსხვავებით, რომელიც ბავშვებს შედარებით მსუბუქად გადაქვთ, სეზონური გრიპი ბავშვებისთვის საკმაოდ საშიშია.

„რეანიმაციაში გრიპის ვირუსით დაავადებული ბავშვის მოხვედრა - ჩვეულებრივი ამბავია. ახალგაზრდებისა და ჯანმრთელებისთვის ეს უფრო გაუგებრობას წარმოადგენს - ვინ არ ყოფილა გრიპით დაავადებული?! მაგრამ სწორედ ეს გრიპი ყოველწლიურად კლავს ათობით და ასობით ათას ადამიანს. ის კლავს მოხუცებს, კლავს ჩვილებს. ასე რომ ჩვენ გაგვიმართლა, რომ გრიპისგან აცრის გაკეთებაა შესაძლებელი", - აცხადებს დევიდ მეთიუსი.

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ეპიდემიოლოგიის პროფესორი ენ ჯონსონი კიდევ ერთ პოტენციურ საფრთხეზე საუბრობს: წლიდან წლამდე გრიპის ვირუსი მუტაციას განიცდის. დაახლოებით 10 წელიწადში ერთხელ. ამის შედეგად ვირუსის ახალი, უფრო საშიში შტამი იქმნება. ასე, მაგალითად, 2009 წელს მექსიკაში დაწყებული ღორის გრიპის დაავადება შემდეგ გლობალურ ეპიდემიაში გადაიზარდა. მისივე თქმით, კარგი ამბავი ისაა, რომ ლოკდაუნის გამოცხადება საჭირო აღარ იქნება - საკმარისია უკვე ნაცნობი ღონისძიებების გატარება - პირბადის ტარება, ინდივიდუალური ჰიგიენა, სოციალური დისტანციის დაცვა და, რაც მთავარია, ვაქცინაცია. პროფესორი მეთიუსი დარწმუნებულია, რომ წელს გრიპის ვაქცინა იმანაც უნდა გაიკეთოს, ვინც ადრე აცრილი არ ყოფილა. ის როგორც საკუთარ თავს, ასევე, გარშემო მყოფ ადამიანებსაც დაიცავს. მეცნიერები ამბობენ, რომ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება კორონავირუსის ვაქცინაციასთან თუნდაც ერთ დღეს შეიძლება. მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგად დადგინდა, რომ აცრებს შორის პაუზის გაკეთება საჭირო არ არის. ბუნებრივია, არცერთი აცრა დაავადებისგან 100%-იან დაცვას ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ საავადმყოფოში მოხვედრისგან გვიცავს გარანტირებულად. ასე რომ, დაცვის ამ ყველაზე ეფექტიანი საშუალების უგულებელყოფა არ შეიძლება. პროფესორი მეთიუსი ვაქცინაციას ავტომობილში უსაფრთხოების ღვედებს ადარებს. **„როდესაც მანქანაში სხდებით, თქვენ უსაფრთხოების ღვედს იკრავთ. მაგრამ ეს იმიტომ არ ხდება, რომ ავარიაში მოხვედრას გეგმავთ. არამედ იმიტომ რომ, ავარიის შემთხვევაში გადარჩებით და სერიოზულ ტრავმას არ მიიღებთ. ავარიის შემთხვევაში ღვედი თქვენი გადარჩენის შანსებს მნიშვნელოვნად ზრდის"**, - განმარტავს პროფესორი.

„გრიპზე ვაქცინაცია დაწყებულია, მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს საცხოვრებლის მიხედვით შეუძლიათ პოლიკლინიკებში გრიპზე აიცრან", - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსმა, ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს დასრულების შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, საქართველომ გრიპის საწინააღმდეგო 200 000 ვაქცინა შეისყიდა.

სახელმწიფოს მიერ შესყიდული 200 ვაქცინა განკუთვნილია შემდეგი ჯგუფებისთვის - ორსული ქალბატონები, დიალიზზე მყოფი პირები, შაქრის დიაბეტით დაავადებული მოქალაქეები, მოხუცთა და ბავშვთა სახლებში მყოფი პირები, საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვები, C ჰეპატიტის მქონე ადამიანები, აივ ინფექციის მქონე პირები, 60 წლის ზემოთ ხანდაზმულები, პედაგოგები, ორგანოგადანერგილები, ჯანდაცვის პერსონალი, ვეტერინარები და საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელები. „ამჟამად გრიპზე 2 000-მდე პირი არის აცრილი. პირველი 43 000 დოზა უკვე შემოვიდა და კვირას შემდეგი 60 000-ს ჩამოიტანენ. დანარჩენი 100 000 დოზაც მალე გვექნება, რიცხვები დაზუსტებული გვაქვს", - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მან ასევე საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების დეტალებზეც ისაუბრა. როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, საქართველოში კოვიდინფიცირების ყველა შემთხვევა დელტა შტამს წარმოადგენს. „ამას დეტალურად ვიკვლევთ. როგორც ვიცით, დელტა შტამს აღმოაჩნდა განსაკუთრებული თავისებურებები – ახალგაზრდა ასაკის მიმართ უფრო აგრესიულია და რეინფიცირების უფრო მეტი პოტენციალი აღმოაჩნდა", – განაცხადა გამყრელიძემ.



მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

პარლამენტი ხელოსანთა ლიცენზირების საკითხს განიხილავს

პარლამენტი ხელოსანთა ლიცენზირების საკითხს განიხილავს. აღნიშნული საკანონმდებლო წინადადებით პარლამენტს მოქალაქე მარიამ ჭყონიამ მიმართა.

როგორც წინადადებაშია აღნიშნული, დროა ვიფიქროთ შემდეგ საკანონმდებლო პროექტზე, რომელიც დაარეგულირებს ხელოსანთა ლიცენზირების და პროფესიონალიზმის საკითხს. წინადადების ავტორის აზრით, უნდა მოხდეს დაქვემდებარება თუნდაც თბილისის მერიაში ხელოსანთა აღრიცხვიანობის ან/და ლიცენზირების გაცემის საკითხთან მიმართებაში.

პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს დაევალა განიხილოს აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება და გადაწყვეტილება აცნობოს ბიუროს.

საკანონმდებლო წინადადების შეფასებით, ამ ინიციატივის საფუძველი გახდა ბათუმის ტრაგედია. შეგახსენებთ, რომ 8 ოქტომბერს, 26 მაისის ქუჩაზე კორპუსი ჩამოინგრა. მომხდარს 9 ადამიანი ემსხვერპლა, მათგან 3 არასრულწლოვანი იყო. შს სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე 3 პირი დააკავა. დაკავებულია მეპატრონე იმ ბინის, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და 2 მუშა, რომელთაც სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

„რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო ბევრს მიაღწევთ თქვენ“

არსებობს აფრიკაში ერთი ტომი ძალიან საინტერესო ტრადიციით – როცა რომელიმე მათგანი ცუდ რამეს ჩაიდენს, დამნაშავე მიჰყავთ თავისი დასახლების ცენტრში, შემოარტყამენ მას წრეს და თითოეული თანასოფლელი იხსენებს მის მიერ ჩადენილ კარგ საქციელს და ქმედებას და მადლობას უხდის ამის გამო. ტომის წევრები თვლიან, რომ ამ ცხოვრებაში ყველა ადამიანი კარგი მოდის, ყველას უნდა სიყვარული, გულნიერება, მშვიდობა, უსაფრთხოება, მაგრამ ამ ფასეულობების მიუხედავად, ზოგჯერ ცდება, შეცდომას უშვებს. ტომი ამ შეცდომაში ხედავს ნიშანს, ეს მათთვის ძახილია დასახმარებლად მისვლისა. ისინი აერთიანებენ თავიანთ ძალებს დაცემულის წამოსაყენებლად, რათა აღადგინონ ის თავისი პირველსახით, შეახსენონ, თუ ვინ არის და როგორი კარგია სინამდვილეში...

ეს აფრიკის ნახევრად ველური ტომია, ჩვენ კი ცივილიზაციის მწვერვალებს ვეპოტინებით...

და ცივილიზებული „ჩვენ“ ვიქეცით ბრბოდ,დეგრადირებულ მასად, რომელიც ერისა და ხალხის ნიშნებს ებღაუჭება, მაგრამ ერთიც დაკარგული აქვს და მეორეც. ოცდაათი წელიწადია, რაც ქართველი ხალხის დეგრადაცია მიმდინარეობს. სახე დავკარგეთ და ღირსება ზედ მივაყოლეთ. აღარც ფორმა შეგვრჩა და აღარც შინაარსი. დაგვავიწყდა პატიება, თანადგომა, ურთიერთსიყვარული...პოლიტიკური შეხედულებების გამო ორ ბანაკად გაყოფილია ერი და ყველას თავისი სტანდარტი აქვს...

თუ მართლა როდისმე გაგვიჩნდება სურვილი, დავადგინოთ სახელმწიფოებრივი აზროვნების სტანდარტი, ან ქვეყნის პრეზიდენტის სტანდარტი, შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის გამოსვლით:

„ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა, რომელიც ჩვენ გვერგო, არ იყო საოცნებო. ეს იყო რაღაც პატარა ნაგლეჯი მიწისა... ახლო აღმოსავლეთის ერთი მეათასედი ნაწილი. ეს მიწა ჩვენ კარგად არ გვეპყრობოდა... იქ იყო ჭაობები, კოღოები, სამხრეთში უდაბნო და ქვები... არჩევანი კოღოებსა და ქვებს შორის იყო. იქ ორი ტბა იყო — ერთი მკვდარი და მეორე მომაკვდავი. იყო განთქმული მდინარე, თუმცა, მასში წყალი სრულებით არ იყო. არანაირი ბუნებრივი რესურსი არ არსებობდა — არც ოქრო და არც ნავთობი... მაშინ ასეთი გამოთქმა იყო ,,ახლო აღმოსავლეთში არსებობს ქვეყნების ორი ტიპი: ნავთობის ქვეყნები და წმინდა ქვეყნები,, ჩვენი ქვეყანა კი — აბსოლუტურად წმინდა იყო... რამეთუ არაფერი არ ჰქონდა.

ჩვენ მარტოდმარტო ვიყავით. ჩვენ არ გვყავდა არც რელიგიური ძმები, არც ერთენოვანი დები და არც ისტორიული მეზობლები. ეს ყველაფერი ხდებოდა ჰოლოკოსტის შემდგომ... ჩვენ იქ მივედით და არ ვიცოდით, რა გვექნა... ნამდვილად არ ვიცოდით.

და ჩვენ მოვიფიქრეთ: ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე — ეს არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა ადამიანებს.

ჩვენ გავხდით სწავლულები. ყოველმა ფერმერმა ისრაელში და ყოველმა გლეხმა დაიწყო ფიქრი, თუ როგორ განევითარებინა სოფლის მეურნეობა წყლისა და მიწის გარეშე... და ჩვენ განვავითარეთ ის. ეს იყო პირველი სოფლის მეურნეობა მსოფლიოში, რომელიც ჰაი-ტექზე (მაღალ ტექნოლოგიაზე რედ.) დაფუძნდა. მე თვითონ მაშინ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეტარებინა ირიგაცია... ცხელი წყლით ვრწყავდით ხეებს და გვეგონა რომ ისინი ასე უკეთ გაიზრდებოდნენ. ჩვენდა გასოცრად, გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობა დაფუძნებული არამხოლოდ ნიადაგზე, არამედ ჰაი-ტექზე დაფუძნებულიც მუშაობს. დღეს ჩვენ საკმარისი წყალი გვაქვს... წყალს ჩვეულებრივად პოულობენ და არა მოიპოვებენ... ჩვენ კი მისი მოპოვება დავიწყეთ... და ჩვენ წინ წავედით. ჩვენ წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ. ჩვენ ვეძებდით ბოსტნეულს, რომლებიც ცოტა წყალს სვამენ და დავიწყეთ სელექცია. აი თქვენ ნამდვილი საიდუმლო: მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც თქვენ აღმოაჩინეთ... არამედ ის, რასაც თქვენ აწარმოებთ.



ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა... ჩვენ არასდროს არ გვიომია. ჩვენ სულ 450 ათასი კაცი ვიყავით და არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. გაერომ გადაწყვიტა შეექმნა სახელმწიფო ისრაელი, მაგრამ ფაქტიურად ომი მიდიოდა... რა უნდა გვექნა? ორი რამ...

პირველი — ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არ გვაქვს... ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დავმარცხდეთ... მორჩა.

მეორე — იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ იარაღი არ გვქონდა, მისი წარმოება დავიწყეთ. დავიწყეთ არმიის სრულყოფა და მოგვიწია განგვევითარებინა IT- სექტორი, რომელიც არმიაზე მუშაობდა... რამეთუ ვიყავით მარტონი და მტრულ გარემოცვაში.

რატომ გიყვებით ყველაფერ ამას? დღემდე ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს ვეუბნები: მეგობრებო, თქვენ გაცილებით მეტი გაქვთ ვიდრე თქვენ ფიქრობთ, ნუ იქნებით ზარმაცები! თქვენ გაქვთ გაცილებით მეტი, ვიდრე მიწას შეუძლია შემოგთავაზოთ თქვენ. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისეთი რამეები, რაც თქვენ აქამდე არ მოგცემიათ, ეს გაკვეთილია ყველასათვის.

უკრაინა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა სოფლის მეურნეობის სფეროში. თქვენ ძალიან ბევრ პროდუქტს აწვდით მსოფლიოს და სოფლის მეურნეობაზე უარი არ უნდა თქვა. თქვენ შეგიძლიათ და ვალდებულიც ხართ ხალხის რესურსები და ტალანტი გააერთიანოთ და ისე მოახდინოთ მოდერნიზირება.

პოტენციალი ადამიანებს ძალიან დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან.თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, უნდა იმუშაო. ციდან არაფერი არ ცვივა. ჩვენ ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით. რა არის ამაში ცუდი?! არ ვიცი. ადამიანები შვებულებაში გადიან .ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. მე 90-ს გადავცილდი და არასდროს ვყოფილვარ შვებულებაში. მე მეუბნებიან ,,შენ რა... არანორმალური ხარ? როგორღა ისვენებ? მე კი ვამჯობინებ ვიმუშაო და სამუშაოსგან სიხარულს ვღებულობ. პესიმისტებიც ნუ იქნებით! ესეც დროის ფუჭი ხარჯვაა , განსაკუთრებით მაშინ, როცა დროება იცვლება.

უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას. მეცნიერებას არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და არააქვს რეფლექსები. ნუ ცდილობთ გადაწყვიტოთ წარსულის პრობლემები რადგან მე ვეჭვობ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია. წარსული საერთოდ არანაირ როლს არ თამაშობს. უბრალოდ შეისწავლეთ ის, რადგან წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ. წარსულში არც მომავალია და არც არანაირი იმედი.

ადამიანების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს რაღაც ,,ახსოვდეთ, და არა რაღაც „წარმოდგინონ, — ეს ყველაზე დიდი შეცდომაა რა გინდათ რომ გახსოვდეთ? ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა? ისტორიაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ისტორიკოსების მეფეების და ხელისუფალთა მაცნეები იყვნენ. ისინი იმას ამბობდნენ, რაც მათ აწყობდათ.

ადამიანებს ეშინიათ რაღაცის, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა დაგვემართება.

ხანდახან მეკითხებიან, თუ უკან მოიხედავთ, როგორი იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომები?

მე ვპასუხობ: ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ დიდი ოცნებები გვქონდა,ახლა კი ვხდებით, რომ ეს ოცნებები არც ისე დიდი ყოფილა. იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე! რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიაღწევთ თქვენ.

თქვენი ახალი თაობა ბრწყინვალეა, მაგრამ რაც მე მაბრაზებს მათში, არის ის, რომ მათ სძულთ პოლიტიკოსები. ისინი ამბობენ: პოლიტიკა კორუმპირებულია, ის არაა ჩვენთვის. მე ვპასუხობ: თქვენ გინდათ წესიერი პოლიტიკა? წადით პოლიტიკაში და თქვენ გააკეთეთ წესიერი პოლიტიკა!

ზოგჯერ ადამიანები მეკითხებიან მე, როგორ უნდა დავრჩეთ აქტიურები? ეს ძალიან ადვილია, დაიანგარიშეთ თქვენს ტვინში მიღწევები და ოცნებები. თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე თქვენი მიღწევები, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ, თუ პირიქითაა — ნიშნავს, რომ მოხუცდით.

ეს ის გაკვეთილებია, რაც მე წარსულიდან გამომყვა.“ - აცხადებს შიმონ პერესი.

ნეტავ ქართველებმაც შევძლოთ როდისმე საკუთარი მწარე გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანა.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

ცვლილებები უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მსურველთათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველებს 2022 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ მესამე სავალდებულო საგნებს შორის მეტი არჩევანის შესაძლებლობებს სთავაზობს.

2022 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, სასურველ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად აირჩიონ კონკრეტული პროგრამისთვის განსაზღვრული რელევანტური საგანი, რაც აბიტურიენტებს არჩევანის შესაძლებლობას გაუზრდის. მესამე სავალდებულო-არჩევით საგანს, მათემატიკას ან/და ისტორიას, დაემატება საგნები: ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება.

მაგალითისათვის, აბიტურიენტებს საბუნებისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისთვის მესამე სავალდებულო საგნად შესაძლებლობა აქვთ, გარდა მათემატიკისა და ისტორიისა, აირჩიონ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია. ხოლო სახელოვნებო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ისტორიისა და მათემატიკის გარდა, არჩევანის გაკეთება შესაძლებელი იქნება ლიტერატურას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას შორის და ა.შ.

აღნიშნული ცვლილება, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამების არჩევისას აბიტურიენტებს გაუზრდის მათთვის სასურველი ჩასაბარებელი საგნების არჩევანის შესაძლებლობას და დაეხმარება უნივერსიტეტში სწავლის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის უკეთ ათვისებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებში გაზრდის ინტერესს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგნის მიმართ.

2022 წელს დაგეგმილია სიახლე ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტის ფორმატში. მცირე ცვლილება შეეხება გეოგრაფიის საგამოცდო ტესტსაც. შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, სოფიო გორგოძის ინფორმაციით, 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების ნაწილში ცვლილებები იგეგმება. როგორც გორგოძემ განათლების სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ცვლილებები მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე გეოგრაფიის ტესტებს შეეხება.

„გვაქვს მცირე სიახლე ქართული ენისა და ლიტერატურის 2022 წლის საგამოცდო ტესტის ფორმატში. ცვლილება შეეხო გეოგრაფიის საგამოცდო ტესტსაც. საგამოცდო ტესტის ფორმატი ან მისი ცალკეული დავალებები სხვადასხვა საგანში გამოცდების შედეგების ფსიქომეტრიული და ექსპერტული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით პერიოდულად იცვლება. სიახლეები მიზნად ისახავს ტესტის კიდევ უფრო მეტ დახვეწასა და სრულყოფას. გარდა ამისა, ცვლილებები მიმართულია ერთი და იმავე ფორმატით გამოცდის ჩატარებისას მოსალოდნელი კლიშეებიისა და ტრაფარეტების დამკვიდრების თავიდან ასაცილებლად, რათა აბიტურიენტებმა უკეთ შეძლონ საკუთარი ცოდნისა და უნარების წარმოჩენა“, - აღნიშნა გორგოძემ.

შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტში იქნება შემდეგი ტიპის დავალებები: ტექსტის რედაქტირება; წაკითხულის გააზრება (აბიტურიენტმა უნდა აირჩიოს შეთავაზებული ორი მხატვრული ტექსტიდან ერთ-ერთი და უპასუხოს ამ ტექსტის შესახებ დასმულ არჩევითპასუხებიან კითხვებს) და წერითი დავალება (აბიტურიენტმა უნდა იმსჯელოს დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ იმ მხატვრული ტექსტის საფუძველზე, რომელიც მან აირჩია საგამოცდო ტესტის II. ნაწილის (წაკითხულის გააზრების) დავალებების შესასრულებლად). ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის მაქსიმალური შეფასება იქნება 60 ქულა (წინა წლებში იყო 70 ქულა), საგამოცდო ტესტის შესასრულებლად კი გამოყოფილი იქნება 3 საათი, რაც, როგორც ტესტის ფორმატის წინასწარმა გამოცდამ აჩვენა, სავსებით საკმარისია მოცემული დავალებების შესასრულებლად“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება გეოგრაფიის ტესტს, NAEC-ის ცნობით, რუკის ანალიზის დავალებების ბლოკში შესული ორივე მრავალქულიანი დავალება დაიშლება 1 და 2-ქულიან რამდენიმე კითხვად, რაც აბიტურიენტებისათვის უფრო კომფორტულს გახდის ტესტზე მუშაობას. „ამის შედეგად ტესტის მაქსიმალური ქულა გახდება 59. აბიტურიენტებს აღარ დაურიგდებათ A3-ის ტოპოგრაფიული რუკა. რუკის ანალიზის თითოეულ კითხვას ელექტრონულ ბუკლეტშივე მიმაგრებული ექნება ტოპოგრაფიული, ფიზიკური ან კონტურული რუკის მცირე ზომის ფრაგმენტი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება კითხვაზე პასუხის გაცემა. არჩევითი კითხვებისა და ინფორმაციის ანალიზის დავალებების ბლოკში ცვლილებები არ იგეგმება.

„2022 წელს ცვლილებები სხვა საგნების საგამოცდო ტესტებში არ იგეგმება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ცენტრი პასუხისმგებელია მხოლოდ მის ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუკ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე. ვთხოვთ აბიტურიენტებს, რომ არ ენდონ გადაუმოწმებელ ინფორმაციას“, - აღნიშნულია შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შვეიცარია საქართველოში CO2 ემისიების შემცირების პროექტებს დააფინანსებს

13 ოქტომბრის შეხვედრაზე შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ საქართველოსთან და დომინიკასთან კლიმატის დაცვის ორმხრივი შეთანხმებები დაამტკიცა. შეთანხმებები შვეიცარიას საშუალებას მისცემს, ამ ორ ქვეყანაში კლიმატის დაცვის პროექტებით იმაზე დიდი წვლილი შეიტანოს გლობალურად სათბურის აირების ემისიის შემცირებაში, ვიდრე ამას მხოლოდ ადგილობრივი ღონისძიებებით შეძლებდა. სახელმწიფომ მსგავსი შეთანხმებები უკვე პერუსთან, განასთან და სენეგალთანაც გააფორმა.

პარიზის კლიმატის შეთანხმების ფარგლებში შვეიცარიამ პირობა დადო, რომ 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიებს ამ ქვეყნის 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაანახევრებდა. სახელმწიფო გეგმავს, ამ მიზანს უმეტესად ქვეყანაში გატარებული ღონისძიებებით მიაღწიოს. პარიზის შეთანხმება მის მონაწილეებს იმის საშუალებასაც აძლევს, თავიანთ მიზნებს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული პროექტებითაც მიუახლოვდნენ, რაც შვეიცარიას შესაძლებლობას აძლევს, სხვა ქვეყნებში მიღწეული შემცირებული ემისიები საკუთარი ეროვნული გეგმის ნაწილად ჩათვალოს.

2020 წლის 20 ოქტომბერს შვეიცარიამ პირველ მსგავს შეთანხმებას პერუსთან მოაწერა ხელი, ასეთივე შეთანხმებები დაიდო რამდენიმე თვეში განასთან და სენეგალთანაც. მათ შეხვედრაზე 13 ოქტომბერს ფედერალურმა საბჭომ კიდევ ორი შეთანხმება დაამტკიცა საქართველოსთან და დომინიკასთან. ეს ევროპულ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, კლიმატის დაცვის პროექტებით, საკუთრის ნაცვლად ამ ორ ქვეყანაში შეამციროს CO2-ის ემისიები.

მაგალითად, საქართველოში ამჟამად მუშავდება ენერგოეფექტიანი ნაგებობების ხელშეწყობის ეროვნული პროგრამა, Swiss Buildings Programme-ის მრავალწლიანი გამოცდილება კი ამ მხრივ სასარგებლო იქნება. დომინიკაში კლიმატის დაცვის პროექტები ორიენტირებულია კუნძულზე ტრანსპორტის ელექტრიფიკაციაზე. დამატებით, დიდი როლს ითამაშებს გეოთერმული ენერგიაც, რაც დომინიკას საშუალებას მისცემს, შეამციროს დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე, როგორებიცაა ნავთობი და ბუნებრივი აირი.

გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების მკაცრი სტანდარტები ამ შეთანხმებებზე ხელის მოწერით შვეიცარია ადგენს სტანდარტს საერთაშორისო კლიმატის პროექტებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ გარემოს დაცვის მკაცრ მოთხოვნებს და ადამიანების უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. შეთანხმებები ასევე მოითხოვს ორივე მხარისგან მეთოდის გამოყენებას, რომელიც ემისიების შემცირების ორმაგად გათვალისწინების პრევენციას უზრუნველყოფს. იმის დასადგენად, აკმაყოფილებენ თუ არა ეს პროექტები დადგენილ კრიტერიუმებს,ისინი ეტაპობრივად შემოწმდება. .

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

საქართველოში ჯიქი 12 წლის შემდეგ პირველად დააფიქსირეს

ბუნების მოყვარულთათვის მშვენიერი სიახლე გვაქვს: საქართველოში ჯიქი 12 წლის განმავლობაში პირველად დააფიქსირეს! ამის შესახებ ინფორმაციას სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი NACRES ავრცელებს.

ცხოველის ფოტო ნაკრესის კონსერვაციულმა კვლევის ჯგუფმა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე 2 თვის წინ დამონტაჟებული ფოტოხაფანგის შემოწმებისას აღმოაჩინა. ფოტოხაფანგმა ჯიქი, ანუ ლეოპარდი (Panthera pardus) აგვისტოში დააფიქსირა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ლეოპარდი ბოლოს 2009 წელს გამოჩნდა. ცხოველის ნაკვალევი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე იპოვეს.



საქსტატი - იანვარ-სექტემბერში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 009.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.3%-ით მეტია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2021 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10 009.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.3 პროცენტით მეტია. „საქსტატის“ ინფორმაციით, აქედან ექსპორტი 2 981.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (24.0 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 7 028.4 მლნ. აშშ დოლარს.

როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში აღნიშნავენ, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2021 წლის იანვარ-სექტემბერში, 4 047.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.4 პროცენტია.

„2021 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (478.3 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (426.2 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (400.2 მლნ. აშშ დოლარი).

2021 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 571.7 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 338.2 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 316.5 მლნ. აშშ დოლარით (10.6 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2021 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 632.5 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.0 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 576.3 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 530.2 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.5 პროცენტი)“,-აღნიშნულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დედა ნათელა ბიღიაშვილი; მეუღლე ხათუნა ცისკარაული, შვილები: გიორგი და დავითი; ძმა ირაკლი, და ქეთევანი, რძალი ირმა ღვედაშვილი; ძმისშვილები: ოთო, ქეთევანი, ლუკა, თამარი, ლაზარე ქადაგიძეები; დისშვილები: გიორგი, ნინო, ნიკა ხარაზიშვილები; დისშვილის ქმარი გიორგი არსენიშვილი იუწყებიან

ვარლამ ქადაგიძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 21 ოქტომბერს, ქ. დედოფლისწყაროში.

ბიძაშვილები: გელა, ვაჟა, გიორგი და ლელა ბიღიაშვილები; დეიდაშვილი ბეგო ბოსტაშვილი, ოჯახებით იუწყებიან

ვარლამ ქადაგიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

სს „არწივის ხეობის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვარლამ ქადაგიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს-ხათუნა ცისკარაულს, დედას ნათელა ბიღიაშვილს, და-ძმას ოჯახებით.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ერთგულ მკითხველს და გულშემატკივარს ნათელა ბიღიაშვილს შვილის და უახლოეს მეგობარს ლელა ბიღიაშვილს მამიდაშვილის

ვარლამ ქადაგიძის

გარდაცვალების გამო.

ზეიმა ყაჭაშვილის და მიმოზა გოგილაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს თანაკლასელს და საუკეთესო მეგობარს ნათელა ბიღიაშვილ-ქადაგიძეს შვილის, ირაკლი და ქეთი ქადაგიძეებს ძმის, ხათუნა ცისკარაულის მეუღლის

ვარლამ ქადაგიძის

გარდაცვალების გამო.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი იუწყება ერთგული თანამშრომლის,

ვარლამ ქადაგიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

კულტურის ცენტრმა მარჯვენა ხელი დაკარგა!... ყველაზე საიმედო, ყველაზე ყურადღებიანი და პასუხისმგებლიანი.

უშენოდ გაგვიჭირდება, ძალიან დაგვაკლდები, მშვიდობით, ვარლამ!...

ჰოლივუდის მსახიობი ალეკ ბოლდუინი

გამომძიებლებმა დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს

მსახიობი და რეჟისორი ალეკ ბოლდუინი, რომლის მიერ გადასალებ მოედანზე განხორციელებული გასროლის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, მეორე კი დაიჭრა, გამომძიებლებმა დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს, – ინფორმაციას Reuters-ი ახალი ამბების ვებგვერდ Deadline-ზე დაყრდნობით ავრცელებს.

ამასთან, სააგენტო „ფრანს-პრესს“ სანტა-ფეს შერიფის პრესსპიკერმა განუცხადა, რომ დაკითხვაზე ალეკ ბოლდუინი ნებაყოფლობით მივიდა. **„ის ნებაყოფლობით მოვიდა და გასაუბრების შემდეგ შენობა დატოვა“**, - განაცხადა პრესსპიკერმა. უბედური შემთხვევის მიზეზების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. შეგახსენებთ, დღეს ცნობილი გახდა, რომ ჰოლივუდის მსახიობმა ალეკ ბოლდუინმა გადასაღებ მოედანზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა, რის შედეგადაც ოპერატორი ქალი გარდაიცვალა, ფილმის რეჟისორი კი - დაიჭრა.მედიის ინფორმაციით, მსახიობმა გასროლა განახორციელა იარაღიდან, რომელშიც ფუჭი ვაზნები უნდა ყოფილიყო. ინციდენტი ნიუ-მექსიკოს შტატში ვესტერნის ჟანრის ფილმის, ღუსტ-ის გადაღების მოედანზე მოხდა. ალეკ ბოლდუინი ფილმის თანაპროდიუსერია. დაღუპული ოპერატორი 42 ნლის ჰალინა ჰაჩინსია, რომელიც წარმოშობით უკრაინიდან იყო. ამასთან, სოციალურ ქსელში ვრცელდება ფოტოები, სადაც ჩანს, რომ ალეკ ბოლდუინი მომხდარს განიცდის და ტირის.

ანგელინა ღორაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ნაზი მოსაშვილის ოჯახს ძმის

როგიზონ მოსაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლესი მეზობლები: გივი და სვეტა ლომიძეები ნოდარი და დალი გივიშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს ძმის

როგიზონ მოსაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე თარიმან მენთეშაშვილი; შვილი ანცო; სიძე მერაბი სეფიაშვილი; შვილიშვილები: პაატა, ბადრი, ლევანი, ნათია, რძალი ნანა ზურაშვილი იუწყებიან

ჟუჟუნა გორაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 5 ოქტომბერს ქალაქ დედოფლისწყაროში.

რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების სტიპენდიებითა და ჯილდოებით წახალისებას მათი მოტივაციისთვის

ყველა საქმეს, სადაც მოტივაცია და ენთუზიაზმია ჩადებული, წარმატებით დასრულების დიდი შანსი აქვს. სწავლისადმი ამგვარი განწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებში, რომლებიც არჩეულ პროფესიას მხოლოდ ახლა სწავლობენ და სწრაფად ვითარდებიან.

ფსიქოლოგი თეონა ქემაშვილი განმარტავს, რომ წახალისება და ჯილდო მოზარდებსა და ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის ამაღლებს პოზიტიურ განწყობას და დადებითი ემოციებით გმუხტავს.

მისი თქმით, ახალგაზრდისთვის მხოლოდ ჯილდოს მატერიალური მხარე არ არის მნიშვნელოვანი, არამედ უფრო საინტერესოა მისი დანახვის, შემჩნევისა და დაფასების ფაქტორი, რაც მას უჩენს სურვილს, ორმაგად უკეთ გააკეთოს თავისი საქმე.

„ჯილდო თუ სხვაგვარი წახალისება თავდაჯერებულობასა და თვითდამკვიდრების უნარს ავითარებს. ამ დროს ადამიანი ფიქრობს: მე შემიძლია, შემამჩნიეს, დამინახეს, რაც მთავარია, დამიფასეს ნაღვაწი. წახალისება ისეთ განცდებს ბადებს, რომლებიც შემდეგ პასუხისმგებლობისა და უპირატესობის გრძნობას აყალიბებს. ჯილდო ის დივიდენდია, რომელიც დროთა განმავლობაში აუცილებლად იძლევა სერიოზულ მოგებას. ჯილდო, წახალისება - ეს სტიმულია, რადგან ის ხვდება, რომ თუ მოინდომებს, შეძლებს უკეთეს შედეგს მიაღწიოს და, რაც მთავარია, ამას სხვებიც დაინახავენ, შრომა დაუფასდება. ეს მოსწავლისა და სტუნდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ზოგადად, რა საქმიანობაშიც გაქვს მოტივაცია, იქ ყველაფერი იდეალურად გამოგდის“, - აღნიშნავს ფსიქოლოგი თეონა ქემაშვილი.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც საუკეთესო შედეგებით გამოირჩევიან და კომპანია „ნიკორასგან“ წახალისების სახით სტიპენდიას იღებენ, აღნიშნავენ, რომ ამგვარი ჯილდო მათთვის მოტივაციაა, შეინარჩუნონ განვითარების ტემპი, იყვნენ ყოველთვის პირველები და წარმატებულები.

ოთხივე მათგანი სურსათის ტექნოლოგიების სტუდენტია. ისინი მოხარულები არიან, რომ ეს მიმართულება აირჩიეს. მიაჩნიათ, რომ წახალისება იმავე სფეროდან, სადაც მომავალში საქმიანობას გეგმავენ, ნიშნავს იმას, რომ კვების ტექნოლოგია საკმაოდ მოთხოვნადია და პროფესიონალები ფასდებიან კიდეც.

ნიკა გომელაური უკვე მე-2 წელია, „ნიკორას“ სტიპენდიატია. როგორც ნიკა ამბობს, თავდაპირველად, როცა სტიპენდიის შესახებ შეიტყო,, დარწმუნებული არ იყო, რომ სნორედ მას შეარჩევდნენ, თუმცა გამოცდები უფრო მეტი ძალისხმევით დაწერა და შედეგმაც არ დააყოვნა. მალე ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში დასაქმდება და მიღებულ ცოდნას საყვარელ საქმეს მოახმარს:

„სასიამოვნოა, როდესაც კომპანია კერძო სექტორიდან ხედავს შენს შრომას, გიფასებს და გეუბნება, რომ საჭირო და მნიშვნელოვანია ის საქმე, რომელსაც ემსახურები“, - აღნიშნავს ნიკა გომელაური.

ნიკას მსგავსად, გიორგი რთველიაშვილიც მე-4 კურსის სტუდენტი და „ნიკორას“ სტიპენდიანტია. მას არჩეული პროფესია ძალიან უყვარს და როგორც აღნიშნავს, სწავლის მოტივაციას, როგორც სურსათის ტექნოლოგიების მიმართ ინტერესი, ისე კერძო სექტორის მხრიდან ხელშეწყობაც უმაღლებს:

„ჩემთვის ძალიან კარგი შეგრძნებაა, როდესაც სწავლის პერიოდშივე გიფასებენ შრომას, როდესაც კომპანია გეუბნება, რომ უნივერსიტეტში კარგად სწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, რა თქმა უნდა, წახალისება და ჯილდო მოტივაციას წარმოადგენს. როდესაც შენზე ამგვარად ზრუნავენ, იმედი გიჩნდება, რომ მომავალში უფრო მეტ წარმატებას მიაღწევ“, - განმარტავს გიორგი რთველიაშვილი.

სოფიკო ხარაზიშვილი და მერი ქირია კი მესამე კურსის სტუდენტები არიან, რომლებიც წელს პირველად გახდნენ სტიპენდიატები და თავიანთ განცდებსა და შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ:

„სტიპენდიის შესახებ უნივერსიტეტში შევიტყე, როცა მაღალი GPA მქონდა, თუმცა მაინც ნაკლებად ველოდი მის მიღებას... მოულოდნელი იყო მიღებული წერილი, რომელშიც სტიპენდიის შესახებ ეწერა და ძალიან გამიხარდა. მივხვდი, რომ შრომა დამიფასდა და ყველაფრის უკეთ კეთების სურვილი გამიჩნდა. თან ეს ორმაგად სასიამოვნოა, როცა ინტერესი და წახალისება შენივე სფეროდან მოდის, სადაც მომავალში გინდა, რომ საქმიანობა გააგრძელო. ამ შემთხვევაში „ნიკორას“ და ჩემი გზები უკვე გადაიკვეთა და, იმედია, ჩვენი ურთიერთობა მომავალში სამსახურებრივი კუთხითაც გაგრძელდება“, - აღნიშნავს სოფიკო.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კულინარია ძალიან პოპულარულია, კვების ტექნოლოგიის სფეროში ბევრი კვალიფიციური კადრი არ გვყავს და ამიტომ უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა გვიწევს. რეალურად, შეგვიძლია კვების ტექნოლოგია ჩვენს ქვეყანაშიც განვავითაროთ და ამიტომაც გადავწყვიტე ამ მიმართულებაზე სწავლა. ჩემთვის მოტივაციაა, როცა გამჩნევენ და გაფასებენ, უფრო პასუხისმგებლობით ეკიდები საქმეს და, რა თქმა უნდა, აკადემიური პასუხისმგებლობაც იმატებს“, - ამბობს მერი ქირია.

როგორც ფსიქოლოგები განმარტავენ, თუ წლების წინ მოსწავლისა და სტუდენტისთვის იმის თქმა, რომ სხვებზე უკეთესი უნდა იყოს და ყოველთვის პირველობისთვის იბრძოლოს, ჩვენს ქვეყანაში არ მიიჩნეოდა კარგ ტონად, რადგან საბჭოთა პერიოდში მხოლოდ თანასწოროგაზე კეთდებოდა აქცენტი, დღეს ასე აღარ არის. ფსიქოლოგის თქმით, ადამიანი მხოლოდ მაშინ აღწევს წარმატებას, როცა თავს არ ზოგავს, გახდეს პირველი და მნიშვნელოვანია, ამაში გარემომაც შეუწყოს ხელი, იქნება ეს წახალისებისა თუ ჯილდოს სახით.

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

სიცოცხლე უფლის დიდი საჩუქარია, რომლის ფასსაც მაშინ ვიგებთ, როცა საფრთხე მოელის. მანამდე შეიძლება არც კი დავუთმოთ ყურადღება ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში. კორონა ვირუსის პანდემიამ ყველა დაგვძაბა, საკრავის სიმებით დაგვიჭიმა განწყობა არსებულმა ინფორმაციებმა, შიშმა, სიფრთხილემ, ავის მოლოდინში, თუ ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეულმა დიდმა ტკივილმა. ამის მიხედავად კორონა ვირუსით დაავადების შემთხვევაში ისე ვიბნევით, რომ სტაციონარში სხვებთან კონტაქტის გამო გართულებების შიშით, ზოგჯერ სახლის პირობებში ვარჩევთ მკურნალობას, რამაც შეიძლება სავალალო შედეგებამდეც კი მიგვიყვანოს.

ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი გაცივებით დაიწყო, ნაბანავების ღია ფანჯრებთან ჩაძინებით. რამდენიმე დღეში ხველა და სიცხე გამოვლინდა, და ანტიბიოტიკებით ვუმკურნალეთ. თუმცა 8 დღე მაინც მოგვინია პოსტკოვიდური სიპტომების გამო ჩვენი რაიონის საავადმყოფოში მკურნალობის გაგრძელება.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, ჩვენი ოჯახის სახელით, ჩვენი სტაციონარის მედ.პერსონალის გუნდს, იმ დიდი თავდადების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის და სიფრთხილისათვის, რაც მათ გამოიჩინეს. ღმერთმა არ მოგაკლოთ მადლი და წყალობა. მოგცეთ უშრეტი სულიერი და ხორციელი ძალები, რომ წარმატებული შედეგები გქონდეთ პროფესიონალური მოვალეობების შესრულების და გაშოროთ პაციენტის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილები. თქვენი კედლები, ყველა შემოსულ ადამიანს, გაღიმებულსა და ჯანმრთელს დაეტოვებინოს. პატიოსნად გეტარებინოთ თეთრი ხალათი და ყოველთვის პირნათელი დარჩენილიყავით ჰიპოკრატეს ფიცისა.

დიდი მადლიერებით,
თამაზ კვესაძის ოჯახი.

დედოფლისწყარო, ისევე როგორც მთელი საქართველო, უხილავ მტერთან ბრძოლაშია ჩაბმული. მე დედოფლისწყაროს ბაზარში ვმუშაობ და ხილსა და ბოსტნეულს ვყიდი. მოგეხსენებათ, ბაზარი ბევრი ადამიანის თავშეყრის ადგილია.

დიდი სიფრთხილის მიუხედავად, აგვისტოს თვეში ვერც მე გადავურჩი კოვიდ-19-ს. ძალიან ცუდად ვიყავი. დაავადება გამირთულდა, დამეწყო ჟანგბადის უკმარისობა. გადამიყვანეს დედოფლისწყაროს საავადმყოფოში. 17 დღე დავყავი იქ. ჩემთან ერთად ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ ექიმები და ექთნები, რომლებიც ჩვენი დროის თანამედროვე გმირები არიან. სიკვდილისაგან მიხსნეს: ჩემმა მკურნალმა ექიმმა ია უსენაშვილმა, იამზე ბალაშვილმა და თითოეულმა მედპერსონალმა, რომელიც ჩვენს საავადმყოფოში მუშაობს. დიდი დატვირთვის მიუხედავად (ისინი საჭმელადაც ვერ იცლიან), მათი ყურადღების მიღმა არცერთი პაციენტი არ რჩებოდა, ყურადღებას და სითბოს ყველას თანაბრად უნაწილებდნენ.

მადლობა თქვენ, ჩვენო გულისხმიერო ადამიანებო, იმ შრომისთვის, რომელსაც თითოეულ პაციენტში დებთ, იმ ყურადღებისთვის და თავგანწირვისთვის, რასაც კორონავირუსთან ბრძოლისას იჩენთ. მადლობა ხათუნა ზურიკაშვილს და ივანე ნატროშვილს, რომლებიც არა მარტო კარგი ექიმები, არამედ სამაგალითო მენეჯერები არიან. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ საავადმყოფოს ყველა საჭირო წამალი თუ დანადგარი არ მოჰკლებია.

მადლიერებით,
ნანა (ლია) ხარხელაური.

შვიდი ათეული წელი ცხოვრების გზა გავლილ. ამ ხნის მანძილზე ბევჯერ მოვხვედრივარ სხვადასხვა საავადმყოფოში - კომუნისტების დროშიც, თანამედროვე სახელმწიფო თუ კერძო კლინიკასა თუ სტაციონარშიც, კარგი მომსახურებაც მინახავს და ცუდიც, მაგრამ ამ დღეებში დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოხვედრილმა რაც ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით მოვისმინე, სხვისი ნაამბობი რომ ყოფილიყო, არც დავიჯერებდი. ერთ მუშტად შეკრული სამედიცინო გუნდი, როგორც ერთი, მობილიზებულია, კვალიფიციურად ემსახუროს პაციენტის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე, კალორიული კვება, საჭირო მედიკამენტები სწორად წარმართული მკურნალობის თამასას უფრო მაღლა სწევს. მადლობა საავადმყოფოს ყველა თანამშრომელს - ექიმებს და ორგანიზატორს ვანო ნატროშვილს. ვუსურვებთ მათ მხნეობას და ჯანმრთელობას ჩვენს საიმედოდ.

პატივისცემით,
ირა გაიპარაშვილი.

ი ყ ი დ ე ბ ა !

რკინის მეორადი კარ-ფანჯარა;
კომპიუტერი; ფერადი ქსეროქსი;
სიმინდის დასაშუში აპარატი;
ტელ: 555 56 78 77;

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	ორშაბათი 25.10	სამშაბათი 26.10	ოთხშაბათი 27.10	ხუთშაბათი 28.10	პარასკევი 29.10	შაბათი 30.10	კვირა 31.10
დღე	14°	8°	8°	11°	13°	14°	13°
ღამე	3°	3°	2°	2°	3°	4°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.